ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი 29/03/2017

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 280

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დინამო ბათუმი"-ს წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 106[1] მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დინამო ბათუმი"-ს (ს/კ №245622205) თანდართული წესდება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ ბათუმის მერის 2008 წლის 02 სექტემბრის №750 ბრძანებით დამტკიცებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დინამო ბათუმი"-ს წესდება.

3. მიენიჭოს უფლებამოსილება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დინამო ბათუმი"-ს დირექტორს ოთარ ფედიჩკინს (პირადი ნომერი 61003005780) იმოქმედოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინოს წინამდებარე ბრძანება (თანდართულ წესდებასთან ერთად) და მოითხოვოს სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის განხორციელება.

4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

„დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა“

ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება
2017 წლის 29 მარტი, №280

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„დინამო ბათუმი“-ს

წ ე ს დ ე ბ ა

თავი 1

ზოგადი დებულებანი

1.1. ეს საზოგადოება არის კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირი, რომლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში «საზოგადოება»). საზოგადოება იურიდიული პირის უფლებებს იძენს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.2. საზოგადოებას აქვს საფირმო სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. ქართულ ენაზე საზოგადოების საფირმო სახელწოდებაა: „შპს „დინამო ბათუმი", ინგლისურ ენაზე საზოგადოების სახელწოდებაა: „LTD Dinamo Batumi."

1.3. საზოგადოება საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

1.4. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.№25

1.5. საზოგადოების ელექტრონული მისამართია: Dinamobatumi@gmail.com.

1.6. სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულს.

1.7. საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

თავი 2

საზოგადოების საქმიანობის მიზანი და საგანი

2.1. საზოგადოების მიზანია მოგების მიღება.

2.2. საზოგადოების საქმიანობის საგანია ფეხბურთი და მისი განვათარება. მათ შორის, ფეხბურთის გუნდების (პროფესიონალთა, მოზარდთა, ბავშვთა, მოყვარულთა, ქალთა, საპლაჟო, ფუტზალის) ჩამოყალიბება, საფეხბურთო ტრადიციების შექმნა და განვითარება, მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო ტურნირებში, საფეხბურთო სკოლის ჩამოყალიბება და განვითარება, მოზარდ ფეხბურთელთა აღზრდა და მათი საფეხბურთო განათლება, სპორტული სულისკვეთების და სპორტული სამართლიანობის პრინციპების ერთგულება და დაცვა.

2.3. საზოგადოება შეიძლება ეწეოდეს სხვა სახის საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. საქმიანობას, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ნებართვას, საზოგადოება წარმართავს ამ ნებართვის მიღების შემდეგ.

2.4. საზოგადოება საქმიანობას წარმართავს ამ წესდების, «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი 3

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი და დამფუძნებელი პარტნიორი

3.1. საზოგადოების კაპიტალი ივსება, როგორც ფულადი, ასევე არაფულადი შენატანით. საზოგადოებას უფლება აქვს გაზარდოს ან შეამციროს საწესდებო კაპიტალი. საზოგადოების საწესდებო კაპიტალის შეცვლა ხორციელდება პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით.

3.2. საზოგადოების პარტნიორი არის: საზოგადოების საწესდებო კაპიტალში 100%-ანი წილის მესაკუთრე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი (მის. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, საიდენტიფიკაციო კოდი: 245576826), წარმოდგენილი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახით.

3.3. პარტნიორს უფლება აქვს:

ა) გაასხვისოს როგორც მთლიანი წილი, ასევე მისი ნაწილი.

ბ) გააკონტროლოს საზოგადოების ხელმძღვანელობის საქმიანობა.

გ) მიიღოს დივიდენდი საზოგადოების მოგებიდან.

დ) მოითხოვოს დირექტორისაგან საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დაუყოვნებლივ მიწოდება.

თავი 4
პარტნიორთა კრება

4.1. პარტნიორთა კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც და იღებს გადაწყვეტილებას წლიური შედეგების შესახებ.

4.2. კრების მოწვევის უფლება აქვს საწარმოს ყველა პარტნიორს და დირექტორს.

4.3. პარტნიორთა კრება მოიწვევა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე, ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე.

4.4. საწარმოს ყოველ პარტნიორს ან დირექტორს შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლით დამატებათა შეტანა დღის წესრიგში.

4.5. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, მიუხედავად იმისა მასზე გამოცხადდება თუ არა ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები).

4.6. პარტნიორს უფლება აქვს კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლობა უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით. მინდობილობა (დედანი, ან მისი ასლი) უნდა დაერთოს კრების ოქმს.

4.7. პარტნიორთა კრება ხმების უბრალო უმრავლესობით (გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა) იღებს გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე:

ა) წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და შეწყვეტა;

ბ) საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება;

გ) ფილიალის შექმნა და ლიკვიდაცია;

დ) საზოგადოების წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება;

ე) აუდიტორისა და სპეციალური კონტროლიორის არჩევა;

ვ) გადაწყვეტილებების მიღება დირექტორის წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ; ამ პროცესზე წარმომადგენლის დანიშვნა;

ზ) დირექტორის საქმიანობის კონტროლი; კრება უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დირექტორისაგან მოითხოვოს საზოგადოების საქმიანობის სრული ანგარიში;

თ) დირექტორის დანიშვნა და განთავისუფლება (დირექტორთან შრომითი კონტრაქტის დადება და გაუქმება);

ი) ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და შემოსავალში მონაწილეობის და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;

კ) ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდა;

ლ) გადაწყვეტილების მიღება «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონითა და ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

4.8 ყველა გადაწყვეტილება, რომელიც სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილებით ჩატარებულ გადაწყვეტილებას.

4.9. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს.

4.10. დირექტორს მხოლოდ საზოგადოების პარტნიორთა კრების თანხმობით შეუძლია განახორციელოს შემდეგი საქმიანობა საზოგადოების სახელით:

ა) საზოგადოების კაპიტალდაბანდებათა შეძენა და გასხვისება, საწარმოების გასხვისება და საქმიანობის შეჩერება, სხვა საწარმოში საზოგადოების კუთვნილი წილის გასხვისება და ვალდებულებით დატვირთვა.

ბ) უძრავი ქონების და უძრავი ქონების მსგავსი უფლებების შეძენა, საზოგადოების უძრავი ქონების და უძრავი ქონების მსგავსი უფლებების გასხვისება და ვალდებულებით დატვირთვა.

გ) ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია.

დ) საზოგადოების წლიური ბიუჯეტის, როგორც საგეგმო ბალანსის და მოგება-ზარალის გეგმის, ასევე ინვესტიციების გეგმის შედგენა, გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეფასება;

ე) ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს.

ვ) ვალდებულებათა აღება, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს.

ზ) სესხებისა და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან საზოგადოების ჩვეულებრივ სამეუნეო საქმიანობას. ამგვარი უზრუნველყოფა დირექტორის მიმართ დაუშვებელია;

თ) საზოგადოების სამეურნეო დარგებისა და წარმოების სახეების წამოწყება და შეწყვეტა;

ი) საზოგადოების სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

კ) ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა;

ლ) საზოგადოების სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა.

თავი 5
დირექტორი

5.1. საზოგადოებას ხელმძღვანელობს დირექტორი.

5.2. დირექტორი წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

5.3. დირექტორი ინიშნება პარტნიორთა კრების მიერ განუსაზღვრელი ვადით.

5.4. დირექტორი:

ა) ახორციელებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს, მათ შორის, ღებულობს მუშაკებს სამუშაოზე და ათავისუფლებს მათ, აფორმებს მათთან შრომით კონტრაქტებს, ამტკიცებს შინაგანაწესს;

ბ) დამოუკიდებლად განკარგავს შემდეგ ფინანსურ სახსრებს:

- ხელფასისათვის საჭირო თანხებს;
- კომუნალური გადასახადებისათვის საჭირო თანხებს;
- ოფისის იჯარისათვის საჭირო თანხებს;
- აგრეთვე სხვა ხარჯებს, რომლისთვისაც არ ესაჭიროება პარტნიორის თანხმობა.

გ) პარტნიორთა კრების თანხმობის შემდეგ განახორციელოს ამ წესდების 4.10. პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებები.

დ) დირექტორი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.

5.5. დირექტორი ვალდებულია საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად. იგი ისე უნდა ზრუნავდეს საზოგადოების საქმეებზე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ დირექტორი დაარღვევს ამ ვალდებულებას, იგი პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე. ამ შემთხვევაში დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას არ დაურღვევია თავისი ვალდებულება.

5.6. დირექტორმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია პარტნიორს საზოგადოების საქმიანობის შესახებ და მისცეს საშუალება, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

5.7. დირექტორი ვალდებულია საზოგადოების გადახდისუუნარობის დადგომის, ან ზედავალიანების დადგენის შემთხვევაში ბრალეული გაჭიანურების გარეშე, გადახდისუუნარობის დადგომიდან, ან ზედავალიანების დადგენიდან არაუგვიანეს სამ კვირამდე, განაცხადოს გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ. დირექტორის ქმედება განცხადების ბრალეულ გაჭი-

ანურებად არ მიიჩნევა, თუ დირექტორი გაკოტრების საქმის წარმოების გახსნას ეპყრობა ამ თავის 5.5. პუნქტით დადგენილი კეთილსინდისიერებით.

5.8. დირექტორი ვალდებულია შეადგინოს წლიური ანგარიში და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიში, ასევე მოგების განაწილების წინადადება პარტნიორთა კრებაზე წარსადგენად.

თავი 6
წლიური შედეგები

6.1. პარტნიორს აქვს წლიური გაუნაწილებელი მოგების მიღების უფლება ნაშთის ჩათვლით და ზარალის გამოკლებით.

6.2. წლიური წმინდა მოგება მთლიანად გადაეცემა პარტნიორს წილის შესაბამისად.

თავი 7
ფილიალები

7.1. საზოგადოებას უფლება აქვს დაარსოს ფილიალები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ.

7.2. გადაწყვეტილებას საზოგადოების ფილიალის დაარსებისა და მისი ხელმძღვანელი პირის დანიშვნის შესახებ იღებს საზოგადოების პარტნიორთა კრება.

7.3. ფილიალი საქმიანობას წარმართავს დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საზოგადოების პარტნიორთა კრება.

თავი 8
ლიკვიდაცია და გარდაქმნა

8.1. გადაწყვეტილებას საზოგადოების ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის შესახებ იღებს საზოგადოების პარტნიორთა კრება.

8.2. ლიკვიდაციას აწარმოებს დირექტორი. მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას პარტნიორის მოთხოვნით სასამართლოს (რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს საზოგადოების იურიდიული მისამართი) უფლება აქვს ლიკვიდატორად დანიშნოს სხვა პირი, რომელიც არ არის დირექტორი.

8.3. ლიკვიდატორმა დანიშვნისთანავე უნდა შეადგინოს ბალანსი. საზოგადოების საბუღალტრო წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან ცნობილ კრედიტორებს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ უნდა აცნობოს სპეციალური შეტყობინებით, ხოლო უცნობ კრედიტორებსა და იმ კრედიტორებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია - საჯარო განცხადებით და მოიწვიოს ისინი მათი პრეტენზიების განსაცხადებლად.

8.4. ლიკვიდატორი მოვალეა, დაამთავროს მიმდინარე საქმეები, განახორციელოს აქტივები და შეასრულოს საზოგადოების ვალდებულებები, თუ ბალანსიდან დავალიანება არ გამომდინარეობს. დავალიანების დადგენისთანავე იგი მოვალეა, ამის თაობაზე აცნობოს სასამართლოს, რომელმაც უნდა აღძრას გაკოტრების საქმე. ლიკვიდატორი წარმოადგენს საზოგადოებას ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში, შეუძლია წარმართოს მასთან დაკავში-

რებული პროცესები, დაამთავროს სასამართლო საქმეები ან მორიგებით დაასრულოს დავები, ხოლო თუ საჭიროა, დადოს ახალი გარიგებებიც. მას უფლება აქვს აგრეთვე თავისუფლად გაყიდოს აქტივები. გრძელვადიანი ლიკვიდაციის დროს მან ყოველწლიურად უნდა შეადგინოს შუალედური ბალანსები. საზოგადოება პასუხს აგებს ლიკვიდატორის მიერ თავისი საქმიანი მოვალეობების შესრულებისას უნებართვო მოქმედებებით მიყენებული ზიანისთვის. ლიკვიდატორი პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე არსებული კანონმდებლობის საფუძველზე.

8.5. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონება ვალების დაფარვის შემდეგ გადაეცემა პარტნიორს. საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება პარტნიორს გადაეცემა მხოლოდ ერთი წლის გასვლის შემდეგ. ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა პუბლიკაციის მეშვეობით საზოგადოების კრედიტორები მესამედ იქნენ გამოძახებულნი. ქონების განაწილება შეიძლება მოახდინოს სასამართლომ ერთი წლის ვადის გასვლამდეც, თუ არსებული ვითარებიდან გამომდინარე ქონების ვადამდელი განაწილებით საფრთხე არ შეექმნებათ კრედიტორებს.

8.6. პარტნიორს უფლება აქვს საზოგადოება გარდაქმნან სხვა სამართლებრივი ფორმის საზოგადოებად სამეურნეო წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში ახალი სამეურნეო წლის დასაწყისის გათვალისწინებით. გარდაქმნის ბალანსში აქტივები შეიტანება ძველი საბალანსო, ან საბაზრო ღირებულებით, რომელსაც ამოწმებს დამოუკიდებელი აუდიტორი.

თავი 9

საზოგადოების სტრუქტურა

9.1. საზოგადოების სტრუქტურა, სტრუქტურაში შემავალი თანამშრომლების რაოდენობა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად.

9.2. საზოგადოების თანამშრომელთა უფლებამოსილებები (თანამდებობრივი ინსტრუქციები) საზოგადოების ფუნქციებიდან გამომდინარე განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.

თავი 10

საზოგადოების საქმიანობის კონტროლი

10.1. საზოგადოების საქმიანობის საერთო კონტროლს ახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

10.2. საზოგადოების საქმიანობის კონტროლი მოიცავს საზოგადოების მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

10.3. საზოგადოების საქმიანობის შესამოწმებლად, საჭიროების შემთხვევაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი ნიშნავს აუდიტორს.

10.4. საზოგადოების საქმიანობის კონტროლთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

20/11/2017

2093-25-4-201711201448

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 2093

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დინამო ბათუმი"-ს წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 106[1] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დინამო ბათუმი"-ს (ს/კ №245622205) წესდების (დამტკიცებული: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 მარტის №280 ბრძანებით) მე-5 თავის 5.3. პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„5.3. დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (პარტნიორთა კრება) მიერ ერთი სამეურნეო წლის ვადით, რომელიც მოიცავს წლის დასაწყისიდან - 1 იანვრიდან წლის დასასრულამდე - 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს (კალენდარული წელი).".

2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დინამო ბათუმი"-ს (ს/კ №245622205) წესდების მე-5 თავს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5.3[1]; 5.9; 5.10 და 5.11 პუნქტები:

„5.3[1]. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი (პარტნიორთა კრება) უფლებამოსილია ვადაზე ადრე გაათავისუფლოს დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან ან გაუგრძელოს უფლებამოსილების ვადა ერთი სამეურნეო წლით.

5.9. დირექტორს უფლება არ აქვს გამოიტანოს ნაღდი ფული საზოგადოების საბანკო ანგარიშ(ებ)იდან.

5.10. დირექტორს უფლება არ აქვს საბანკო ოპერაციები (გადარიცხვები) აწარმოოს მთავარი ბუღალტერის ავტორიზაციის გარეშე. თუ საზოგადოებას არ ჰყავს მთავარი ბუღალტერი, მაშინ აღნიშნულ უფლებამოსილებას დირექტორთან ერთად ახორციელებს თანამშრომელი, რომელიც თანამდებობრივად პასუხისმგებელია საბუღალტრო აღრიცხვაზე.

5.11. დირექტორი ვალდებულია ყოველთვიურად (პირველ დეკადაში) დამფუძნებელ პარტნიორს წარუდგინოს ამონაწერ(ებ)ი საწარმოს საბანკო ანგარიშებიდან მიმდინარე თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით.".

3. წინამდებარე ბრძანებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დინამო ბათუმი"-ს წესდებაში განხორციელებული ცვლილება ვრცელდება ასევე ამ ცვლილების ამოქმედებამდე დანიშნულ დირექტორზეც, რაც ნიშნავს, რომ მოქმედი დირექტორის უფლებამოსილების ვადაა 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსს (ვახტანგ გედენიძე, პირადი ნომერი: 61001051657) დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი